



**დავით ტვილდიანის**  
სამედიცინო უნივერსიტეტი

სწავლას, კვლევასა და სხვა საუნივერსიტეტო  
საქმიანობაში აკადემიური  
კეთილსინდისიერების დაცვის  
კონცეფცია

თბილისი, 2017

კონცეფცია შემუშავებულია საკითხთან მიმართებაში სტრატეგიული ჯგუფის მართვის წევრთა (ვიცე-დეკანი სამეცნიერო დარგში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, იურისტი, ვიცე-რექტორის ასისტენტი) მიერ. დოკუმენტის ტექსტი ფოკუსირებულია დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში არსებული პრაქტიკის (დოკუმენტები, კურსები, რესურსები, მარეგულირებელი დოკუმენტები) აღწერისა და მისი განვითარების შესაძლებლობებზე.

### **შესავალი**

აკადემიური კეთილსინდისიერება, მისი დაცვა, ამ პრინციპზე დაფუძნებულ საქმიანობაში სტუდენტის აღზრდა არის ყველაზე მნიშვნელოვანი საუნივერსიტეტო საქმიანობაში; მეტიც, როდესაც საუბარია უნივერსიტეტთა მოვალეობაზე ემსახუროს საზოგადოებას და მის როლზე ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობაში, უპირველესი „მოთხოვნა“ სწორედ კეთილსინდისიერება უნდა იყოს. ეს აღიარებულია და გაზიარებულია როგორც აკადემიური და სამეცნიერო, ასევე მთლიანად საზოგადოების მიერ, რადგან სრულიად გასაგებია, რომ „კეთილსინდისიერების“ გარეშე არც ახალი ცოდნა არ იქმნება და არც სპეციალისტი არ ყალიბდება.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიურმაგანვითარებამ ერთის მხრივ გახსნა და „ერთიანი“ გახადა საერთაშორისო აკადემიური სივრცე. ინტერნეტის სხვა რესურსების მეშვეობით ღირებულ მასალასთან(აკადემიური ნაშრომები თუ სხვა)ხელმისაწვდომობამგაადვილა სასურველი ინფორმაციისმოძიება. რაც უადრესად დადებითი მოვლენაა მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებისთვის; თუმცა, ასევე გაჩნდა „პლაგიატის“ მატების რეალური პრობლემაც როგორც საერთაშორისო ასევე ქართულ აკადემიურ სივრცეში.

საუნივერსიტეტო სივრცეში პლაგიატთან „სწორი“ დამოკიდებულება, მისი პოლიტიკის პრაქტიკაში გატარება და ადექვატური რეაგირება უნივერსიტეტის ყველა სამსახურის, აკადემიური პერსონალის და თვით სტუდენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, რომელიც მხარდაჭერილი და მონიტორირებულიაუნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან.

წინამდებარე დებულება აღწერს აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის დამოკიდებულებას; კერძოდმისი პრევენციის, მასზე მონიტორინგისა და რეაგირების წესებს. ასევე ასახავს უნივერსიტეტში უკვე არსებულ პრაქტიკასდა ამ კონკრეტული კუთხით განვითარების შესაძლებლობებს.

*აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის საკითხთან მიმართებაში არსებული საუნივერსიტეტო რესურსები*

განვითარების ამ ეტაპზე საკითხი გულისხმობს სასწავლო კურსებს (თემასთან მიმართებაში) და პლაგიატის აღმოჩენის ტექნოლოგიებს.

აკადემიური წერის უნარების განვითარება და პლაგიატი/აკადემიური კეთილსინდისიერების ცნობიერების ამაღლება დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში ხორციელდება, როგორც დიპლომამდელი ასევე სადოქტორო სწავლების სტუდენტებისთვის. დიპლომამდელი და სადოქტორო სწავლების ფარგლებში სამეცნიერო კვლევის საფუძვლების და PhD პროგრამის პედაგოგიკის კურსების ფარგლებში მიეწოდებათ საკითხები: „სამეცნიერო ენა“; „სამეცნიერო წერის სტილი“; „სამეცნიერო ნაშრომის წერა და მისი სახეები“; „კვლევა, როგორც ინტელექტუალური საკუთრება“; „საავტორო უფლებებისა და პლაგიატის“ თემები; „ეთიკა სამეცნიერო კვლევაში“ და სხვა რელევანტური საკითხები.

უნივერსიტეტს აქვს პლაგიატიზმის აღმოჩენის ტექნოლოგიის „Turnitin” -ის ინტესტიტუციური ლიცენზია (დანართი № 1 - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში არსებული ტურნიტინის პროგრამა და მისი გამოყენების შესაძლებლობები).

**განვითარების შესაძლებლობები:**

*პლაგიატის თავიდან აცილება, აღმოჩენა, სანქციები და შემდგომი განვითარების საშუალებები*

აკადემიური პატიოსნება და განათლებისა და კვლევის მაღალი ხარისხი პირდაპირ კავშირშია უნივერსიტეტში აკადემიურ პატიოსნება/ეთიკასთან დაკავშირებულ მკაფიო პოლიტიკის ჩამოყალიბება-განხორციელებასთან. პლაგიატის დაძლევის პოლიტიკა მოიცავს უპირველეს ყოვლისა მის **პრევენციას**, რომელიც ითვალისწინებს მუდმივ ინფორმირებას და სწავლებას. ამ კუთხით უნივერსიტეტში რეგულარულად უნდა ტარდებოდეს უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სისტემატური ტრენინგები სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ, რომელიც ემყარება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს. უნივერსიტეტის საკუთარ ვებგვერდზე უნდა თავსდებოდეს პლაგიატთან დაკავშირებული ინფორმაცია, მაგალითად პლაგიატის დეფინიცია, მისი სახეები, იდენტიფიცირების წესები, ე-ტუტორიალები/სასწავლო კურსები, პლაგიატის გამოვლენაზე რეაგირების მექანიზმები და სანქციები.

პლაგიატის დაძლევის პოლიტიკა ასევე მოიცავს პლაგიატის **იდენტიფიცირებას**. ამ თვალსაზრისით უნდა ხდებოდეს წერითი ნამუშევრის ელექტრონული ფორმატით წარდგენა დაშეფასების პროგრამული უზრუნველყოფა, პლაგიატის ამომცნობი პროგრამების გამოყენება. დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ უკვე გაიოლებული და მხარდაჭერილია პლაგიატის გამოვლენის პროგრამული უზრუნველყოფა. (*დანართი № 1* - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში არსებული ტურნიტინის პროგრამა და მისი გამოყენების შესაძლებლობები, *დანართი № 2* - Turnitin-ის გამოყენების ინსტრუქცია პედაგოგზე ანუ ინსტრუქტორზე მორგებული და *დანართი № 3* - Turnitin-ის გამოყენების ინსტრუქცია სტუდენტზე მორგებული).

პლაგიატის დაძლევის პოლიტიკა ითვალისწინებს პლაგიატზე ადექვატურ **რეაგირებას**, პლაგიატის აღმოჩენისა და დადასტურების შემთხვევაში უნივერსიტეტის მიერ დადგენილი შესაბამისი სანქციები იხილეთ *დანართში № 4* სტუდენტის ცნობარი პლაგიატის შესახებ.

## დანართი № 1

### დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში არსებული ტურნიტინის პროგრამა და მისი გამოყენების შესაძლებლობები

ტურნიტინი არის ანტიპლაგიატური სისტემა, რომელიც ემსახურება უნივერსიტეტებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებს პლაგიატის გამოვლენაში, მის წინააღმდეგ ბრძოლასა და სტუდენტების სამეცნიერო უნარების განვითარებაში.

თავად პროგრამა დაარსდა 1998 წელს ოთხი უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ. 2014 წლის მონაცემებით ტურნიტინის ბაზაში 26 მილიონი მომხმარებელი ფიქსირდება სტუდენტების და ინსტრუქტორების სახით, რომელთაც 500 მილიონზე მეტი ნაშრომი აქვთ ქსელში ატვირთული. 2016 წელს ინოვაციის სახით ტურნიტიმა გააკეთა ცალკე პლატფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს თავადვე შეამოწმოს ნაშრომის ორიგინალურობა და პლაგიატის დონე. ტურნიტინი მოიცავს 6 კონტინენტს და 150-ზე მეტ ქვეყნის უნივერსიტეტებს.

ტურნიტინი არის ლიდერი მსოფლიოში პლაგიატის გამოვლენასა და მის შემოწმებაში. ის არის საუკეთესო პროგრამა, რომელსაც აქვს წვდომა უამრავ როგორც ფასიან, ასევე უფასო ელექტრონულ სამეცნიერო ბაზასთან, ჟურნალთან და ასევე აერთიანებს მისი მომხმარებელი უნივერსიტეტის სტუდენტების ნაშრომებს, რაც მკვეთრად ამცირებს პლაგიატის რიცხვს. ასევე მას აქვს საშუალება შეამოწმოს ერთ საფეხურზე ერთდროულად ატვირთული ნაშრომების მსგავსებას. მისი გამოყენება ხელს უწყობს სტუდენტისა და ინსტრუქტორის დროის დაზოგვას, პროგრამა საშუალებას აძლევს მომხმარებლებს ნაშრომების ატვირთვას, მის შემოწმებას და უკუშეფასების მიცემას მაქსიმალურად მცირე დროში.

პროგრამა საკუთარი ინიციატივით არ იღებს არანაირ გადაწყვეტილებას და არ წერს ნიშანს, მისი ფუნქცია მხოლოდ და მხოლოდ არის პლაგიატის დონის გამოვლენა, რომელიც აჩვენებს პროცენტულ თავსებადობას სხვა მასალებთან. ამის შემდეგ თავად ინსტრუქტორი წყვეტს რა ზომები მიიღოს პლაგიატის მაღალი მაჩვენებლის აღმოჩენის შემთხვევაში.

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტმა შეისყიდა ანტიპლაგიატური კომპანია Turnitin-ს ინსტიტუციური ლიცენზია, რაც დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომი სტუდენტების ნაშრომების ორიგინალურობაზე შემოწმების და მათი აკადემიური წერის უნარ-ჩვევების გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებას იძლევა. პლაგიატის ამომცნობი პროგრამის გარემო არის Web-based ([www.turnitin.com](http://www.turnitin.com))


დანართი № 2

## Turnitin-ის გამოყენების ინსტრუქცია პედაგოგზე ანუ ინსტრუქტორზე მორგებული შესავალი

Turnitin-ის მომხმარებლები არიან: 1. ადმინისტრატორი (პირი, პირობითად დასახელებული Turnitin-ის კომპანიის წინაშე, რომელსაც აქვს სრული წვდომა Turnitin-ის ინსტიტუციურ ანგარიშზე, ხელეწიფება შექნას ინსტრუქტორის (აკადემიური პერსონალის, პედაგოგის) მომხმარებლის პროფილი, შეაფასოს რესურსები მათ განსახორციელებლად და სხვა. 2. ინსტრუქტორი, ანუ პედაგოგი, რომელიც ქმნის ჯგუფებს სტუდენტებისგან და ამოწმებს მათ დავალებებს და 3. სტუდენტი, რომელიც ასრულებს დავალებას და შესაბამისად ეცნობა მისი ნაშრომის შესწორებულ ვერსიას პედაგოგის მიერ.

წინამდებარე გზამკვლევი, რომელიც მორგებულია ინსტრუქტორზე (პედაგოგზე, აკადემიურ პერსონალზე) დაგეხმარებათ Turnitin-თან მუშაობაში. თავდაპირველად, გევალებათ რომ დარეგისტრირდეთ Turnitin პროგრამაში შესასვლელად და შექმნათ მომხმარებლის პროფილი. ეს შესაძლებელია ორნაირად:


I. თქვენ მიიღეთ ელექტრონული წერილი კომპანია Turnitin-დან, რომელიც გატყობინებთ თვენთვის განკუთვნილ დროებით **პაროლს**, რაც ნიშნავს, რომ თქვენთვის უკვე შექმნილია მომხმარებლის პროფილი (ეს მოხდა ადმინისტრატორის მოთხოვნით, რომელმაც მოთხოვნისას მიუთითა თქვენი სახელი, გვარი და თქვენი მეილი). ამის შემდეგ თქვენ იწყებთ Turnitin-ის მოხმარებას <http://www.turnitin.com/ვებ-გვერდიდან> Log In-ის არჩევით და თქვენი ელექტრონული ფოსტის და იმ მონიჭებული **პაროლის** გამოყენებით (იხ სურ. 1 და 2).




შეგიძლიათ შექმნათ თქვენი, როგორც მომხმარებლის პროფილი. ამისათვის იხილეთ ნაბიჯი 1. მომხმარებლის პროფილის შექმნა.

## ნაბიჯი 1. მომხმარებლის პროფილის შექმნა

იმისთვის რომ დარეგისტრირდეთ და გააქტიუროთ თქვენი მომხმარებლის პროფილი, მიაკითხეთ ვებ-გვერდს <http://www.turnitin.com/>(სურ. 3)



ამ მთავარ გვერდზე აირჩიეთ “Create Account”, რის შემდეგაც გაიხსნება გვერდი “Create a User Profile“ (სურ. 4) აირჩიეთ “Instructor”, გაიხსნება “Create a New Instructor Account” შეავსეთ მოთხოვნილი ინფორმაცია ახალი პროფილის მომხმარებლის ფორმაში. პროფილის შექმნელად საჭიროა რომ, თქვენ გქონდეთ Account ID და Account Joint password, რომელსაც თქვენ მიიღებთ ადმინისტრატორისგან. შეავსეთ მოთხოვნილი ინფორმაცია.




თქვენი პროფილის შექმნის შემდეგ დააჭირეთ “I agree”, (ნაჩვენები არ არის) რათა შეხვიდეთ Turnitin-ის სისტემაში.

## ნაბიჯი 2. კლასის დამატება

იმ მიზნით რომ შექმნათ სტუდენტთა ჯგუფი ანუ კლასი, თქვენს (ინსტრუქტორის, პედაგოგის) მთავარ გვერდზე აირჩიეთ “Add class”, (სურ. 6)



რაც ავტომატურად გადაგიყვანთ “Create a new Class” გვერდზე (სურ. 7).



დაიწყეთ შევსება; class type: Standard ან Master, (Standard და Master class არ განსაზღვრავს საგნის სწავლების საფეხურს, არამედ იგი შეესაბამება კურსის სწავლების ორგანიზებას. მაგ. თუ პედაგოგი ასწავლის ერთი საგნის ანუ დისციპლინის სხვადასხვა თემებს, მაშინ Master class-ის მეშვეობით იგი ქმნის ინდივიდუალური სექციებს). დასაწყისისთვის, მიუთითეთ Standard. მოგვიანებით შეგიძლიათ შეცვალოთ.

ჩაწერეთ კლასის სახელი (class name) და პაროლი გაწევრიანების (enrollment password). გაწევრიანების პაროლი (enrollment password) ასევე გამოყენებული იქნება სტუდენტის მიერ რათა შეუერთდეს კლასს. გაწევრიანების პაროლი იარჩიეთ მარტივი, სტუდენტისთვის ადვილად დასამახსოვრებელი, რომელიც შეიცავს დაბალი რეგისტრის ასოებს.



ირჩევთ ასევე “Subject area”-ს გამოდინარე იმ სფეროდან რომლის სწავლებასაც ახორციელებთ და ირჩევთ ასევე, “Student Level”-ს რომელიც შეესაბამება დიპლომამდელ ანდიპლომის შემდგომ სწავლების კურსს.

“Class start date” არის ის თარიღი როდესაც თქვენ ხსნით ამ კლასს. “Class end date”-ს, დღე კალენდარული, რომელსაც თქვენ ირჩევთ.

კლასის დასრულების თარიღის შემდეგ სტუდენტს აღარ ექნება წვდომა კლასთან, აღარ შეეძლება ატვირთოს ნამუშევარი. კლასის ხანგრძლივობა სისტემის მიხედვით ავტომატურად არის 6 თვე და თუ თქვენ გნებავთ რომ კლასი გრძელდებოდეს უფრო მეტხანს ან პირიქით იყოს მოკლე, შეგიძლიათ შეცვალოთ დრო “Class end date”.

აირჩიეთ ღილაკი “Submit” რათა დაემატოს კლასი თქვენს პირად (პედაგოგის) გვერდს.

### ნაბიჯი 3. ინფორმაცია კლასზე

კლასის დასახელება გამოჩნდება თქვენს პირად გვერდზე, მისგან მარცხნივ იქნება მითითებული კლასის საიდენტიფიკაციო კოდით “Class ID”. სტუდენტი გამოიყენებს საიდენტიფიკაციო კოდს გაწევრიანების პაროლი (enrollment password)-თან ერთად რათა გაწევრიანდეს კლასში ”(ამის მაგალითი ნაჩვენებია მე-6 სურათზე). თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს ნახოთ გაწევრიანების პაროლი/enrollment password (დავიწყების შემთხვევაში) კლასის დასახელებიდან მარჯვენა მხარეს “Edit” ღილაკზე დაჭერით. ამავე ღილაკით საჭიროების შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ კლასის დასრულების თარიღი.

#### ნაბიჯი 3.1. სტუდენტის შემოერთება

სტუდენტების შემოსაერთებლად ა) თქვენ შეგიძლიათ გაავრცელოთ კლასის საიდენტიფიკაციო კოდით “Class ID” და გაწევრიანების პაროლი/enrollment password სტუდენტებს შორის რათა მათ ჰქონდეთ წვდომა კლასთან და გაწევრიანდნენ დამოუკიდებლად ან ბ) თქვენი, როგორც ინსტრუქტორის მთავარი გვერდიდან (სურ.8) აირჩიოთ კლასი, რაც ავტომატურად გადაგიყვანთ შემდეგ გვერდზე (სურ 9).



turnitin

Assignment Students Grade Book Libraries Calendar Discussion Preferences

NOW VIEWING: HOME > HUMAN ANATOMY

About this page  
This is your class homepage. Click the "Add assignment" button to add an assignment to your class homepage. Click an assignment's "View" button to view the assignment inbox and any submissions that have been made to the assignment. You can make submissions by clicking on the "Submit" option in the assignment's "More actions" menu.

Human Anatomy  
CLASS HOMEPAGE

+ Add Assignment

	START	DUE	POST	STATUS	ACTIONS
<b>კურსიდან სისტემს</b>					
PAPER	16-Jan-2017 2:00PM	25-Jan-2017 11:59PM	26-Jan-2017 12:00AM	1 / 2 submitted	View More actions
<b>Cranial nerves</b>					
PAPER	02-Feb-2017 3:00PM	09-Feb-2017 11:59PM	10-Feb-2017 12:00AM	0 / 2 submitted	View More actions

9

აირჩიეთ Students, შემდეგ აირჩიეთ „Add Student“, გაიხსნება ახალი გვერდი „Enroll a student“ სადაც ჩაწერთ სახელს, გვარს და ელექტრონულ მეილს და მიუთითებთ „Submit“. (სურათი არ არის ნაჩვენები). ამის შემდეგ სტუდენტი ღებულობს შეტყობინებას იმ ელ. მეილზე რაც თქვენ მიუთითეთ და რეგისტრაციისთვის მიჰყვება მითითებულ მარტივ ინსტრუქციას.

ასევე, არ გამოგრჩეთ სტუდენტებს გაცნოთ Turnitin-ის სტუდენტზე მორგებული ინსტრუქცია.

Turnitin- ის თქვენს პირად გვერდზე აირჩიეთ თქვენს მიერ შექმნილი კლასი (დააკლიკეთ კლასის სახელწოდებას) რათა გახსნათ თქვენი კლასის კუთვნილი გვერდი.

#### ნაბიჯი 4. დავალების მიცემა

Turnitin- ის თქვენს პირად გვერდზე აირჩიეთ თქვენს მიერ შექმნილი კლასი (დააკლიკეთ კლასის სახელწოდებას) და შემდეგ აირჩიეთ “Add Assignment” (სურ. 10)

turnitin

Turnitin Zurabhvili | User Info | Messages | Instructor | English | Roadmap | Help | Logout

Assignments Students Grade Book Libraries Calendar Discussion Preferences

NOW VIEWING: HOME > PHD CANDIDATES

About this page  
This is your class homepage. Click the "Add assignment" button to add an assignment to your class homepage. Click an assignment's "View" button to view the assignment inbox and any submissions that have been made to the assignment. You can make submissions by clicking on the "Submit" option in the assignment's "More actions" menu.

PhD candidates  
CLASS HOMEPAGE



+ Add Assignment

START	DUE	POST	STATUS	ACTIONS
-------	-----	------	--------	---------

Before you or your students can submit a paper, you first need to create an assignment.

10

(რაც ავტომატურად გადაგიყვანთ “Select your Assignment type” გვერდზე (სურ. 11) “Paper Assignment” არის ძირითადი დავალება სხვა დანარჩენი ტიპის დავალებებისთვის: “Paper Assignment” “PeerMark Assignment” , “Revision Assignment”, “Reflection Assignment”. მონიშნეთ “Paper Assignment” მიეცით “Next Step” რაც გადაგიყვანთ “New Assignment”-ზე (სურ 12) სადაც თქვენ უნდა ჩაწეროთ დავალების სახელი)



შეავსეთ “Assignment title” ანუ დავალების სათაური; ატვირთვის თარიღი - “start date” ასევე დავალების ჩაბარების ბოლო ვადა, დედლაინი - “due date” და თარიღი, რომლიდანაც სტუდენტებს უკვე შეუძლიათ გაეცნონ პედაგოგის მიერ შესწორებულ დავალებას - “post date”.

“Point value” არის არჩევითი და მისი მითითება შეიძლება იმ შემთხვევაში თუ პედაგოგი სტუდენტს აფასებს რიამე წინასწარ დადგენილი შეფასებათა სისტემით (Rubrics and Grading Forms).

ბოლოს მიუთითეთ “Submit”.

#### ნაბიჯი 5. სტატის შეტანა ინსტრუქტორის მიერ.

თუ თქვენ, თავად ინსტრუქტორს გსურთ შეამოწმოთ სტატია Turnitin-ში, აირჩიეთ “view” (სურ. 13) და ატვირთეთ დოკუმენტი.

NOW VIEWING: HOME > PHD CANDIDATES

✔ Congratulations! You have created your first assignment. To add students or view your student list click the "students" tab above.

13

**About this page**  
This is your class homepage. Click the "Add assignment" button to add an assignment to your class homepage. Click an assignment's "View" button to view the assignment inbox and any submissions that have been made to the assignment. You can make submissions by clicking on the "Submit" option in the assignment's "More actions" menu.

PhD candidates  
CLASS HOMEPAGE + Add Assignment

	START	END	POST	STATUS	ACTIONS
<b>Research Project</b>					
PAPER	22 Dec 2016 12:17	29 Dec 2016 11:29	30 Dec 2016 12:29	0 / 0 Submissions	View More actions ▾

Research Project

ორიგინალობაზე მოწმდება შემდეგი ტიპის ფაილები: Microsoft Word, PowerPoint, WordPerfect, PostScript, PDF, HTML, RTF, OpenOffice (ODT), Hangul (HWP), Google Docs (submitted via the Google Drive submission option), plain text files.

ინფორმაციის უფრო დეტალურად მისაღებად გაეცანით ვებგვერდს:  
[http://turnitin.com/en\\_us/support](http://turnitin.com/en_us/support)

მეტი თვალსაჩინოებისთვის იხილეთ ვიდეო რგოლები ვებგვერდზე:  
<https://vimeo.com/search?q=turnitin>

დანართი № 3

## Turnitin-ის გამოყენების ინსტრუქცია სტუდენტზე მორგებული

### შესავალი

Turnitin-ის მომხმარებლები არიან: 1. ადმინისტრატორი (პირი, პირობითად დასახელებული Turnitin-ის კომპანიის წინაშე, რომელსაც აქვს სრული წვდომა Turnitin-ის ინსტიტუციურ ანგარიშზე, ხელეწიფება შექნას ინსტრუქტორის (აკადემიური პერსონალის, პედაგოგის) მომხმარებლის პროფილი, შეაფასოს რესურსები მათ განსახორციელებლად და სხვა. 2. ინსტრუქტორი, ანუ პედაგოგი, რომელიც ქმნის ჯგუფებს სტუდენტებისგან და ამოწმებს მათ დავალებებს და 3. სტუდენტი, რომელიც ასრულებს დავალებას და შესაბამისად ეცნობა მისი ნაშრომის შესწორებულ ვერსიას პედაგოგის მიერ.

წინამდებარე გზამკვლევი, რომელიც მორგებულია სტუდენტზე დაგეხმარებათ Turnitin-თან მუშაობაში. თავდაპირველად, გევალება რომ დარეგისტრირდეთ Turnitin-ის პროგრამაში შესასვლელად და შექმნათ მომხმარებლის პროფილი.

ტურნიტინის ბაზაში თქვენი პროფილის შესაქმნელად, გთხოვთ, მიყვეთ შემდეგ საფეხურებს:

1. პირველ რიგში, შემდგომ იმისა, რომ თქვენს ინსტრუქტორს (ლექტორს) მიაწვდით თქვენს საკონტაქტო იმეილს, შეტყობინების სახით მოგივათ ქვემოთ ნაჩვენები

წერილი და დააწვებით ღილაკს: „Create Your Password“



## Welcome to Turnitin

Hi Jane Doe,

You have been enrolled in the Turnitin class, Ancient History, by your instructor, Joe Bloggs.

Ready to submit your papers?

Create Your Password

For help using Turnitin, visit [guides.turnitin.com](https://guides.turnitin.com) to find useful student guidance.

Thanks,

Turnitin



- რომ შექმნათ თქვენი პაროლი, საჭიროა შეიყვანოთ თქვენი ფოსტის მისამართი (აუცილებელია იყოს იგივე, რომელზეც მიიღეთ შეტყობინება), ასევე თქვენი სახელი ან გვარი.  
დააჭირეთ გაგრძელების ღილაკს.

### Account Setup

To set up your account, please enter your email address and last name or family name.

**Email Address**

**Last Name or Family Name**


  

You can find this information in your Turnitin welcome email.


If you no longer have access to this email, ask your Turnitin instructor to look up your email address. If you are an instructor, please refer to your Turnitin administrator for this information.

Next

- ტურნიტინის სისტემამ, რომ დაადასტუროს თქვენი პროფილის სანდოობა, მითითებულ მეილზე გამოგიგზავნით შეტყობინებას და თქვენ გაქვთ 24 საათი, რომ გააქტიუროთ თქვენი პროფილი ტურნიტინის ქსელში.




4. გამოგზავნილ წერილებში მიიღებთ მსგავს შეტყობინებას და მიყევით ინსტრუქციებს, რათა დაასრულოთ თქვენი პროფილის შექმნა ტურნიტინზე.



შენიშვნა: პაროლის შესაქმნელი ლინკი შეიცავს უნიკალურ კოდს და იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მითითებული 24 საათის განმავლობაში ვერ შეიყვანთ თქვენი პროფილის ლინკს მას ვადა გაუვა. თუ ლინკი არ მუშაობს, შეგიძლიათ დახმარებისთვის მიმართოთ მითითებულ ლინკს - Has your link expired? და მეილზე მიიღებთ ახალ მისამართს.

5. ლინკი გადაგიყვანთ მისამართზე, რომელიც საშუალებას მოგცემთ შეიყვანოთ თქვენთვის სასურველი პაროლი, რომელიც უნდა შეიცავდეს მინიმუმ 6 და მაქსიმუმ 12 სიმბოლოს და ყველაზე ცოტა უნდა იყოს 1 ასო და 1 ციფრი. ამის შემდეგ დააკლიკეთ „Create Password“, ხოლო იმ შემთხვევაში თუ გინდათ პროცესის შეწყვეტა - “Cancel”.



**Create Your Password**

To finish setting up your account, please enter a password.


**Your password must be between 6 and 12 characters in length, containing at least one letter and one number.**

**Password**

**Confirm Password**

[Create Password](#) [Cancel](#)

6. თქვენი პროფილის შექმნა ტურნიტინზე დასრულებულია. დააკლიკეთ “Log in Now” და გადადით შემდეგ ეტაპზე.



**Account Setup Complete**

You can now log in to your account using your email address and password.


[Log in Now](#)

7. შეიყვანეთ თქვენი მითითებული იმეილი და პაროლი.






8. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ტურნიტინში. თქვენ უკვე გაქვთ შესაძლებლობა შეცვალოთ მითითებული მეილი, მომხმარებლის სახელი ან/და პაროლი. ასევე, უსაფრთხოების მიზნით აირჩიეთ საიდუმლო შეკითხვა და გაეცით პასუხი, რომელიც დაგეხმარებათ პაროლის დავიწყების ან/და მარტივად გამოცვლის შემთხვევაში.



9. დაკლიკეთ ვეთანხმები ტურნიტინის სამომხმარებლო შეთანხმებას - I Agree - რომ გააგრძელოთ ტურნიტინის ბაზაში მუშაობა.


ან დააკლიკეთ, არ ვეთანხმები - I Disagree - და გამოდით პროფილიდან.




სტუდენტის ტურნიტინზე რეგისტრაციისთვის არსებობს მეორე გზაც.

ამ გზასაც მივყვით ნაბიჯ-ნაბიჯ:

1. პირველ რიგში შედიხართ ტურნიტინის ვებ-გვერდზე: [www.turnitin.com](http://www.turnitin.com) ზემოთ მარჯვენა კუთხეში გადავდივართ “Create Account” ლინკზე.



2. ლინკზე გადასვლისას ვირჩევთ სტუდენტს.



- სტუდენტის პროფილის შესაქმნელად, საჭიროა შევავსოთ სპეციალური ფორმა, რომელიც იწყება კლასის ID-ით და კურსში ჩასართველი სპეციალური პაროლით, რომელის ინსტრუქტორმა (ლექტორმა) უნდა მოგაწოდოთ

## Create a New Student Account

### Class ID Information

All students must be enrolled in an active class. To enroll in a class, please enter the class ID number and class enrollment password that you were given by your instructor.

Please note that the password and pincode are case-sensitive. If you do not have this information, or the information you are entering appears to be incorrect, please contact your instructor.

**Class ID**

**Class enrollment password**

- შეიყვანეთ თქვენი, როგორც მომხმარებლის ინფორმაცია, სახელი, გვარი (გაითვალისწინეთ, რომ გაქვთ არჩევანი როგორ გამოჩნდება თქვენი სახელი, მონიშნეთ თქვენთვის სასურველი ფორმა), ასევე უნდა მიუთითოთ მეილი, რომელიც აქტიურია და სარგებლობთ (მომავალში ამ მეილით შეიძლება აღადგინოთ დაკარგული პაროლი) და გაიმეოროთ ის, რათა პროგრამა დარწმუნებული იყოს, რომ მეილი შეცდომით არ შეიყვანეთ პირველ შემთხვევაში.

User Information

Your first name

Your last name

Display names as

First name (Space) Last name (example: John Smith)  
 Last name (Space) First name (example: Smith John)  
 Last name(No space)First name (example: SmithJohn)

Email address

Confirm email address

5. შემდეგი ეტაპი მოიცავს მომხმარებლის პაროლს, რომელიც უნდა შეიცავდეს მინიმუმ 6 და მაქსიმუმ 12 სიმბოლოს და ყველაზე ცოტა უნდა იყოს 1 ასო და 1 ციფრი.

Password and Security

Please keep in mind that your password is case sensitive (for example, paSS123 would be different than pass 123), must be 6-12 characters long, and contain at least one letter and one number (for added security).

Enter an email address and password you can easily remember. Please write down your email address and password for future reference.

Enter your password

Confirm your password

6. უსაფრთხოების მიზნით აირჩიეთ საიდუმლო შეკითხვა და გაეცით პასუხი, რომელიც დაგეხმარებათ პაროლის დავიწყების ან/და მარტივად გამოცვლის შემთხვევაში მის მარტივად აღდგენაში.

Next, please enter a secret question and answer combination. You will be asked for this combination if you ever forget your password and need to reset it.

**Secret question**

Please select a secret question. ▼

**Question answer**

7. ბოლო ეტაპზე დაკლიკეთ ვეთანხმები ტურნიტინის სამომხმარებლო შეთანხმებას - I Agree - რომ გააგრძელოთ ტურნიტინის ბაზაში მუშაობა.  
ხოლო იმ შემთხვევაში თუ არ ეთანხმებით წესებს, შეწყვიტეთ რეგისტრაცია.

**User Agreement**

Please read our user agreement below. Select "I agree" to complete your user profile.

Turnitin.com and its services (the "Site" or the "Services") are maintained by Turnitin, LLC ("Turnitin"), and offered to you, the user ("You" or "User"), conditioned upon Your acceptance of the terms, conditions, and notices contained herein without modification (the "User Agreement").  
**You should review this User Agreement carefully before accepting it.**

I Agree -- Create Profile    [I Disagree -- Cancel Profile](#)

8. იმ შემთხვევაში, თუ სწორად მიყევით ინსტრუქციას და გაითვალისწინეთ გზამკვლევაში მითითებული შენიშვნები, დარჩა მხოლოდ ტურნიტინის პროგრამაში შესვლა.

Log in to Turnitin

გზამკვლევის თვალსაჩინოებისთვის შეგიძლიათ გადახვიდეთ ლინკზე და უყუროთ მის ვიდეო ვერსიას: <https://www.youtube.com/watch?v=CdR00Tee-I>

## ტურნიტინში სტუდენტისთვის ნაშრომის ატვირთვის ინსტრუქცია

თუ გაითვალისწინეთ ზემოთ მითითებული ინსტრუქცია, სწორად დარეგისტრირდით მოცემული ორი გზიდან ერთ-ერთით და დაუკავშირდით ინსტრუქტორის (ლექტორის) მიერ გამოგზავნილ კურსს, მაშინ თქვენს პროფილზე შესვლისას დაგხვდებათ მსგავსი სურათი (სათაურებად მოცემულია მაგალითები).

ეტაპობრივად მივყვეთ გზამკვლევის და ავტვირთოთ დავალება (თუ, როგორც სურათზეა მითითებული, თქვენს პროფილზე შესვლისას არ არსებობს ინსტრუქტორის (ლექტორის) მიერ შექმნილი კურსი, თქვენ არ გექნებათ საშუალება ატვირთოთ ნაშრომი).

Class ID	Class name	Instructor	Status	Drop class
14453093	Human Anatomy	Tinatin Zurashvili	Active	

1. პირველ რიგში შევიდეთ კურსის მენიუში, აუცილებელია შევამოწმოთ თარიღები. ინსტრუქტორს (ლექტორს) აუცილებლად ექნება მითითებული ვადები, რომელშიც აუცილებელია ატვირთოთ ნაშრომი:

Class ID	Class name
14453093	Human Anatomy

2. მეორე ეტაპია, ინსტრუქტორის (ლექტორის) მიერ უკვე მზა კურსზე დავიწყოთ ჩვენი ნაშრომის ატვირთვა:

Submit View

3. სახელის და გვარის ველები იქნება ავტომატურად შევსებული თქვენი პროფილის მონაცემების გათვალისწინებით, რაც შეეხება Submission title-ს - მიუთითებთ თქვენი ნაშრომის სათაურს.

First name

Example

Last name

Example

Submission title

4. თუ ჩამოშლით - What Can I Submit - ანუ რა შემიძლია ავტვირთო, გაიხსნება მსგავსი ფანჯარა, რომელიც გვამღებს დაწვრილებით ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორი ფაილების ატვირთვა შეგვიძლია ტურნიტინის ბაზაზე:

#### What can I submit?


##### Requirements for single file upload

- File must be less than 40 MB ([read suggestions](#) to meet requirements)
- Files must have at least 20 words of text
- The maximum paper length is 400 pages
- File types allowed: Microsoft Word, Excel, PowerPoint, WordPerfect, PostScript, PDF, HTML, RTF, OpenOffice (ODT), Hangul (HWP), Google Docs, and plain text


- ფაილი უნდა იყოს 40 მეგაბაიტზე ნაკლები
- ფაილი უნდა შეიცავდეს მინიმუმ 20 სიტყვის რაოდენობის ტექსტს
- ნაშრომი შეიძლება იყოს მაქსიმუმ 400 გვერდი
- მითითებულია ის პროგრამები, რომლის წაკითხვაც ტურნიტინის შეუძლია (სხვა სახის ფაილის ატვირთვის შემთხვევაში ტურნიტინი ვერ აღიქვამს ნაშრომს და ის არ ჩაითვლება შესრულებულად)

5. შემდეგ ეტაპზე მიუთითეთ საიდან გსურთ ფაილის ატვირთვა.


Choose the file you want to upload to Turnitin:



6. საბოლოო ნაბიჯია მითითებული ფაილის ატვირთვა.



7. ტურნიტინი კიდევ ერთხელ მოგცემთ საშუალებას შეამოწმოთ ნამდვილად სწორად ტვირთავთ თუ არა დავალებას, სადაც შეგიძლიათ ნახოთ თქვენ მიერ ატვირთულ ფაილის ზომა, სიტყვების, გვერდების და სიმბოლოების რაოდენობა და მხოლოდ ამის შემდეგ დაეთანხმოთ ფაილის ატვირთვას.




ატვირთვის ეტაპი წარმატებითაა დასრულებული!  
მეტი თვალსაჩინოებისთვის შეგიძლიათ უყუროთ ვიდეოგზამკვლევს ინგლისურ ენაზე: <https://youtu.be/Ebgryeynx1s>



## ტურნიტინში შესწორებულ ნაშრომთან წვდომა სტუდენტის მიერ

თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ ტურნიტინის სისტემის მიერ ორიგინალობაზე შემოწმებულ თქვენს ნაშრომს და ასევე გაეცნოთ პედაგოგის მიერ გაკეთებულ კომენტარებს თქვენი მისამართით. ნაშრომთან წვდომა თქვენ გაქვთ “Class Homepage”-იდან. აირჩიეთ ღილაკი “view” და ტექსტი გაიხსნება.



შეგიძლიათ გაეცნოთ პედაგოგის კომენტარს და ნახოთ ტურნიტინის თანხვედრის ინდექსი, რომელიც სხვა არაფერია თუ არა თქვენი ატვირთული ტექსტისა და ტურნიტინის მონაცემთა ბაზის თანხვედრათა პროცენტულობა, ხოლო დასკვნის გაკეთებას პლაგიატის არსებობისა თუ მისი ფორმის შესახებ თავად პედაგოგის პრეროგატივაა.

დეტალური ინფორმაციის მისაღებად გაეცანით ვებგვერდს (კერძოდ Student training-ს და ბოლოში მითითებულ ვიდეო რგოლს: [http://turnitin.com/en\\_us/support](http://turnitin.com/en_us/support)

მეტი თვალსაჩინოებისთვის იხილეთ სხვა ვიდეო რგოლები ვებგვერდზე: <https://vimeo.com/search?q=turnitin>

დანართი № 4

## სტუდენტის ცნობარი პლაგიატის შესახებ

### დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში პლაგიატის გამოვლენის შემთხვევა რეგულირდება უნივერსიტეტის პლაგიატის შესახებ წესის საფუძველზე. სტუდენტები უნდა გაეცნონ უნივერსიტეტის შესაბამის დებულებას (*სწავლას, კვლევასა და სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობაში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის დებულება*) და იმოქმედონ მის შესაბამისად რათა დაიცვან აკადემიური კეთილსინდისიერება და თავიდან აიცილონ პლაგიატი. როგორც სტუდენტისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის მნიშვნელოვანია გაეცნონ უნივერსიტეტისათვის მისაღებ აკადემიური წერის სტილს (ბიბლიოგრაფიული მონაცემების გაფორმება, ციტირების სტილი და ა.შ.).

პლაგიატი, იგივე აკადემიური არაკეთილსინდისიერება ლახავს ინსტიტუტის და თავად სტუდენტის რეპურაციას. სტუდენტი ჩამორჩება ცოდნის ათვისებაში და არ უყალიბდება საკუთარი აზრის წერილობით და ზეპირმეტყველებით გადმოცემის უნარი.

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომი განათლების სასწავლო კურიკულუმები სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ითვალისწინებენ აკადემიური წერის უნარების განვითარებას და აკადემიური კეთილსინდისიერების ფარგლებში სტუდენტის აღზრდას და დონის ამაღლებას. მათ შორისაა: სამეცნიერო კვლევის საფუძვლების კურსი, რომლის ფარგლებშიც მიეწოდებათ საკითხები: „სამეცნიერო ენა“ და „სამეცნიერო წერის სტილი“, „სამეცნიერო ნაშრომის წერა და მისი სახეები“, „კვლევა, როგორც ინტელექტუალური საკუთრება“, „საავტორო უფლებებისა და პლაგიატის“ თემები; „ეთიკა სამეცნიერო კვლევაში“ და ა.შ. თემები.

პლაგიატი იწვევს შემთხვევაში განიხილება, როგორც სხვისი ინტელექტუალური საკუთრების მითვისება. ნათელია, რომ ნებისმიერი ახალი ცოდნა შენდება და ვითარდება წინა გამოქვეყნებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებით. ამიტომ, არანაირ წინააღმდეგობაში არ მოდის თუ თქვენ დაეყრდნობით წინა შრომებს და მოისხენიებთ/აღიარებთ მას ინფორმაციის წყაროდ კონკრეტული მსჯელობისას. თუმცა, უნდა ჩანდეს ნათლად, თუ სად მთავრდება უკვე არსებული/დაგროვილი ცოდნის მოხსენიება თქვენს ნამუშევარში და სად იწყება თქვენი პირადი კვლევითი შედეგები თუ

მოსალოდნელი ჰიპოთეზები. სწორი წარმოდგენის ქონა ამ უნარებზე ძალიან მნიშვნელოვანია როგორც პედაგოგის/ინსტრუქტორისთვის, ასევე სტუდენტისთვის.

**პლაგიატიზმი** საბაზისო განმარტების მიხედვით განისაზღვრება, როგორც სხვისი ინტელექტუალური შრომის (მთელი ან მხოლოდ მისი ნაწილის) შედეგის, ტექსტის, იდეის, არგუმენტების განზრახ ან უნებლიედ საკუთრად წარმოჩენა/მითვისება და გავრცელება ავტორის მითითების გარეშე. ინტელექტუალურ შრომაში იგულისხმება ნებისმიერი ინტელექტუალური საკუთრება, რომელიც გამოქვეყნებულია და იგი შეიძლება იყოს სტატია, წიგნი, ვებ გვერდი, ვიდეო ან აუდიო მასალა და სხვა. პლაგიატად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე საკუთარი ნაშრომის განმეორებით გამოყენება ორიგინალური წყაროს მითითების გარეშე, რაც სახელდება როგორც **თვით-პლაგიატი**. აკადემიურ კეთილსინდისიერებას შეიძლება **ფალსიფიკაცია** მივაკუთვნოთ, რაც აკადემიურ ნაშრომში ინფორმაციის ან ციტატების გაყალბებასთან არის დაკავშირებული.

აკადემიურ ნაშრომში პირველადი წყაროს სათანადოდ მითითება პლაგიატის თავიდან აცილების გარდა ეხმარება მკითხველს დარწმუნდეს სტუდენტის ნაშრომის ორიგინალობაში და შეამოწმოს მითითებული წყაროები, დარწმუნდეს მათ სისწორეში და შესაძლოა გაიღმავოს კიდევ ცოდნა საკვლევ საკითხთან დაკავშირებით.

სტუდენტთა უმრავლესობას გათვითცნობიერებული აქვს რომ პირდაპირი კოპირება ავტორზე მითითების გარეშე დაუშვებელია საკუთარ ნამუშევარში. თუმცა, პლაგიატიზმი მეტად ვრცელია თავისი არსით და შეიძლება მოიცავდეს ასევე შემდეგს: სხვისი ტექსტის პარაფრაზირება (ამონარიდის თქვენი სიტყვებით გადმოცემა) მხოლოდ რამდენიმე სიტყვის სინონიმით ჩანაცვლებით ან სხვა მისი შემცვლელი ფრაზით ან თუნდაც წინადადებით იმგვარად რომ პარაფრაზირება ძალიან ახლოს არის მოცემულ წყაროსთან; სხვისი მსჯელობის ან ანალიზის საკუთარი სიტყვებით რეპროდუქცია/გადმოცემა თუ მას არ დაემატება სტუდენტის საკუთარი შინაარსობრივი წილი (ასეთ შემთხვევაში იქმნება შთაბეჭდილებას რომ ეს მსჯელობა სტუდენტს ეკუთვნის, მაშინ როდესაც ეს ასე არა არის); თანაკურსელისგან ნაშრომის თხოვება (სტუდენტები ხშირად ცვლიან ერთმანეთში წერით ნამუშევრებს, განსაკუთრებით მაშინ როდესაც მათ საერთო პედაგოგი/ინსტრუქტორი ავალებს სმგავს სამუშაოს); ტექსტში ციტირება ბრჭყალების („ -“) გამოყენების გარეშე; სხვის მიერ შექმნილი ახალი იდეის მითვისება, მისი ავტორის მოხსენიების გარეშე (სხვისი იდეის თქვენს ნაშრომში გახმაურებისას ფრჩხილებში უნდა მიუთითოთ პიროვნების სახელი, გვარი და მასთან პერსონალური კომუნიკაცია; გამოსახულებების, გრაფების, ილუსტრაციების გამოყენება წყაროს მითითების გარეშე.

საზოგადოდ ცნობილი, მიღებული ცოდნის (რაიმე დარგში აღიარებული დებულებები, რაც წყაროს მითითებას არ საჭიროებს და მკითხველმა იცის მათი წარმომავლობა) მოხსენიება ტექსტში წყაროს მითითების გარეშე ზოგჯერ სადაოა და სტუდენტის მხრიდან პედაგოგის რჩევით უნდა მოხდეს.

პლაგიატიზმის წესები ვრცელდება მონაცემთა გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ ნებისმიერ წყაროზე; წიგნი, ინტერნეტ გვერდი (რომელთა ავტორი შესაძლებელია იდენტიფიცირებული არც იყოს), ჟურნალი, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა (მაგ. თეზისი), ლექციების ჩანაწერები, კონსპექტი, პირადი მეილი, რომელშიც მოიცავს კონკრეტული საკითხის ირგვლივ მსჯელობას და სხვა.

კომპიუტერული პროგრამები, მაგალითად Turnitin პროგრამა, გამოიყენება ნებისმიერი წერიტი ნამუშევრის (სტატია, თეზისი, რეფერატი და სხვა) ანალიზისთვის. პლაგიატის ამომცნობი პროგრამების მიზანია საშუალება მისცეს პედაგოგს/ინსტრუქტორს, რათა მან მოკლე დროში, სიზუსტის დაცვით მოიძიოს ნაშრომში გამოყენებული მასალის პირველადი წყარო. პროგრამა აწვდის შემმოწმებელს ანალიზის შედეგს ტექსტების (სტუდენტის და ინტერნეტული წყარო) მსგავსების შესახებ, ხოლო დასკვნის გაკეთებას პლაგიატის არსებობისა თუ მისი ფორმის შესახებ თავად შემმოწმებელს ანდობს.

წარმოდგენილია რამდენიმე მაგალითი თუ როგორ (საჭიროებიდან გამომდინარე) შეიძლება გამოვიყენოთ ნაშრომში ნებისმიერი წყაროდან (წიგნი, სტატია, ჟურნალი და სხვა ) წამოსული ინფორმაცია სხვადასხვა მიდგომით. ესენია: რეზიუმე, ციტირება, ან პარაფრაზირება.

**რეზიუმე:** თუ მთლიანი წყაროს ან მისი ნაწილის ზოგადი აზრის გადმოცემა გვსურს და არა მისი ნაწყვეტის მკაფიოდ, ხაზგასმით წარმოჩენა, მაშინ შესაძლებელია გაკეთდეს ზოგადი რეზიუმე და გამოყენებული იქნას ეს მოსაზრება ნაშრომში წყაროს მითითებით.

**პარაფრაზირება** არის ასევე ორიგინალური წყაროდან ინფორმაციის ჩართვა წერით ნაშრომში, თუმცა იგი მოიცავს იდეის ან ინფორმაციის საკუთარი სიტყვებით გადმოცემას. წარმატებული პარაფრაზირების გასაღებს წარმოადგენს ორიგინალური ტექსტის სიტყვების მინიმუმამდე დაყვანა და აზრის გადმოცემა ისე რომ არ დაიკარგოს ძირითადი იდეა და არ მოხდეს ტექსტის ცდომილება. წყაროს მითითების გარეშე, პარაფრაზირება მიიჩნევა პლაგიატად. აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმ წყაროს მითითება, საიდანაც მოდის იდეა.

**ციტირება:** ტექსტში წყაროს გამოყენებისას აუცილებელია მოხდეს წყაროს მითითება ტექსტშივე წინადადების ბოლოს, სრულად კი ინფორმაციის ეს წყარო მითითებული უნდა იყოს ნაშრომის ბოლოს ბიბლიოგრაფიაში. სტუდენტის მიერ ნაშრომში წყაროს

მითითება პედაგოგს აძლევს საშუალებას საჭიროების შემთხვევაში მოიძიოს გამოყენებული მასალა.

ციტირებული ფრაზა, რომელიც ჩასმულია ნაშრომში შეუცვლელად/დაცული სიზუსტით საკუთარი ტექსტისგან გამოყოფილი უნდა იყოს ბრჭყალებით „-“.

ციტირების ინფორმაციის გაყალბება აკადემიურ ნაშრომში კვალიფიცირდება, როგორც „ფალსიფიკაცია“ და აკადემიური წერის არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებად აღიქმება.

**ბიბლიოგრაფია** არის იმ წყაროთა ჩამონათვალი, რომელიც გამოყენებულია წერით ნამუშევარში. ინტერნეტში განთავსებული წიგნები, ჟურნალები, და სხვა ნაბეჭდი წყაროები მიეთითება ზოგადად ნაბეჭდის წესის დაცვით. იგი უნდა მოიცავდეს შემდეგს: გვარი, ინიციალი, სრულისათაური. ჟურნალის სრული დასახელება ანაბრევიატურა. წელი, ტომი(თუ მრავალტომიანი გამოცემაა), ნომერი, გვერდები და საწყისი - დასასრული.

შესაძლებელია ბიბლიოგრაფიის (ნაბეჭდის) კომპიუტერული პროგრამის (მაგ. Reference Manager) დახმარებით მითითებულ სტილით ჩასმა ნაშრომში. ეს გეხმარებათ დაზოგოთ დრო და ამავედროულად დაიცვათ დადგენილი ფორმატი მთელ ნაშრომში.

ინტერნეტში განთავსებული ორგანიზაციების და/ან კერძო ვებ-გვერდები, ონლაინ მონაცემთა ბაზები და სხვა, რაც მიიჩნევა საჯარო გამოყენებისთვის და მუდმივად განიცდის ცვლილებას, არ იმსახურებს სანდოობას. ამიტომ მათი მითითებისას, რეკომენდებულია შედარებით მდგრადი URL-ს (რესურსის სტანდარტული ლოკატორი) მოძიება და ამავედროულად თარიღის მითითება.

### **პლაგიატის აღმოჩენა და სანქციები**

პლაგიატიზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში პედაგოგი მიმართავს დასაბუთებული ფაქტით ფაკულტეტის დეკანს შემთხვევის განხილვის მიზნით. დეკანი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, სასწავლო-კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელთან (შესაძლოა საქმესთან რელევანტური კომპეტენტური სპეციალისტების ჩართვა) ერთად კონფიდენციალურად განიხილავენ კონკრეტულ დარღვევას. დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში ნაშრომის ავტორის მიმართ (დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით) შეიძლება განისაზღვროს შემდეგი დამსჯელი ზომები: ა) მიეცეს გაფრთხილება, ბ) დაევალოს ნაშრომის ხელახლა შესრულება, გ) დაწესდეს მონიტორინგი მის შემდგომ საქმიანობაზე, დ) დაეკისროს საგნის გადაბარება, ე) დაეკისროს კურსის ხელახლა გავლა ვ) შეუწყდეს სტუდენტის აქტიური სტატუსი.